№ 189 1877—1897 № 189

შაბათი, 13 სექტემბერი, 1897 წ. შაბათი, 13 სექტემბერი, 1897 წ.

ივერია

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ჯერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჯღირს 4 მან. 75 კაპ.

მღვდელი იოსებ ჯიჯავაძე ძმებით და დეკით, ბარბარე კოტიანაშვილისა და მარიამ კარბელაშვილისა, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

დედისას ოლღა დიმიტრის ასულის ჯიჯავაძისას,

სთხოვენ მობრძანდნენ ნავთლუბში, საკუთარს სახლში.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 12-ს სექტემბერს დილის 11 საათზედ და საღამოს 6 საათზედ. მიცვალებულს გაასვენებენ წმ. ბარბარეს ეკლესიაში შაბათს, 13 სექტემბერს, დილის 9 საათზედ.

(2—175—2)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

„ვაის ვავეყარე ვუის შეეყარე“

კომ. 3 მოქ., გადმ. ფრ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი ჩერქეზიშვილისა, საყვარელიძისა, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გელდევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(4—უ.—2)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ **მორიგი კრება** ამ **საზოგადოების წევრთა** დანიშნულია შაბათს, ოც სექტემბერს, თავად-აზნაურობის ბანკის შენობის დარბაზში. (5—უ.—1)

100 მანათად

ახალი ქუჩა მანდილოსნისათვის

ქუჩა ძვირფასი რამ არის, წვის ბეწვის საყელო და ბეწვისაგე **სარჩული.**

მეიდგელთ მიჰმართონ: ნორაშენის ქუჩაზედ, სახლი მელიქ-ნუბაროვისა (ნორაშენის ეკლესიის პირდაპირ მე-5 ნაწილში). (5—უ.—1)

ფელეტონი

უცხოთა შორის

ხანში შესული ინგლისელი უანგარად ემსახურება საზოგადოებას.—ახალგაზდა ინგლისელის გულის წადილი და იდეალი.—ვის ეძახიან ინგლისში ჯენტლმენს.—ოჯახის ბატონი და პატრონი.—სტუმარი უყვარს ინგლისელს, თუ არა.—საოცარი ხასიათი ინგლისელისა.—კლუბების სიმრავლე ინგლისში.

მოხუცების დროსაც-კი, როდესაც ინგლისელი დარწმუნდება, ეხლა-კი უნდა უკლო ფულის საშოვნელად შრომასაო, მაინც ბევრი საზოგადო საქმე აწევს კისერზედ: ერთი საზოგადოების პროტოკოლებსა სწერს, მეორეს კასსა აბარია, მესამე პროექტებსა სწერს საზოგადო კრებებისთვის და სხვ. ყოველივე ამ გვარი შრომა სრულიად უანგაროა და ინგლისელი ამაში ფულს არ იღებს. მისი შრომა ეკუთვნის რომელსამე ამა თუ იმ უბნის „ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოებას“, „შეუძლებელ ქალთათვის სამუშაოს მოსაპოვებლად დაარსებულს საზოგადოებას“, „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებასა“ და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ინგლისში ძლიერ ბევრი და მრავალ გვარი საზოგადოებაა. ესეც რომ არ იყოს, თქვენ ბრძანეთ, კაცს სურვილი ჰქონდეს საზოგადოებისათვის იშრომოს, თორემ საქმეს ყოველთვის იშოვის...

რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს ინგლისელი, იმის გულის წადილს შეადგენს: რაც შეიძლება ადრე გახდეს სრულიად თავისუფალ კაცად, შეირთოს ცოლად ქკვიანი ქალი, იყოლიოს ბევრი შვილი, შეიძინოს რაც შეიძლება მომტებული ფული, შესანახად-კი არა, მხოლოდ იმისთვის, რომ მდიდრულად იცხოვროს, იშრომოს დაუღალავად, აღზარდოს რიგიანად თვისი შვილები, რომ იმათაც შეეძლოთ შემდეგში კარგი ცხოვრება, დამმორჩილოს საზოგადოების ყოველ გვარ მოთხოვნილებას, სულ ერთია გონიერია იგი თუ უგუნური, სიბერემდე ეტანებოდეს სწავლას, ბევრი იმოგზაუროს და დიდი ცოდნა შეიძინოს. აი ეს გახლავთ ინგლისელის გულის წადილი. სხვა ერისა და ტომის კაცმა თუ თვის სიცოცხლეში დიდი ტანჯვა და უბედურება გამოიარა, იმასა სცდილობს, ჩემს შვილებს მაინც ავაცდინო ეს ტანჯვა; ასე არა ჰფიქრობს ინგლისელი და არასოდეს არა სცდილობს ამას. ინგლისელის ფიქრით, ბედნიერება მხოლოდ იმ ბედნიერებასა ჰქვიან, რომელიც კაცმა თითონ მოიპოვა თვისს შრომისა და მეცადინეობის წყალობით. ინგლისელი ასე ამბობს, რომ მარტო მხდალ ეშინიან ცხოვრების ჭიდილისა, შრომისა, გაჭირვებისა და უბედობისაო. მისის აზრით, ყოველი კაცი მოვალეა იშრომოს და დაეხმაროს რომელსამე სასარგებლო საქმეს, თუ არა და კაცი არა ხარ, საზოგადოება არავითარს პატივს არა გცემს და არცა გაქვს უფლება ვისგანმე პატივისცემა მოიკითხო.

მთელ თავის სიცოცხლეს ინგლისელი იმასა ჰფიქრობს ჯენტლმენის სახელი დავიმსახუროვო. ამასვე აგონებს თავის შვილებს სიყრმიდგანვე, აგონებს და ასწავლის, როგორ უნდა იცხოვრონ, როგორ მოიქცნენ ყოველ გვარ შემთხვევაში. როდესაც ინგლისელი ვისმეზე იტყვის: „ნამდვილი ჯენტლმენია“,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ეს კაცი ყოველის მხრივ პატიოსანი და კაცური კაცია. ინგლისში ჯენტლმენს ეძახიან კაცს დარბაისელს, თავდაჭერილს, განათლებულს, გონიერს. ჯენტლმენი უნდა იყვეს უხვი, ხოლო უნდა ეცადოს სიუხვე თვისი საქვეყნოდ არ გამოიტანოს და ამით თავი არ გამოიდოს; ჯენტლმენი უნდა იყვეს თავმდაბალი, მორიდებული, გულ-კეთილი და ამასთანავე ამაყი. ხოლო ამპარტავნობა ჯენტლმენს არ შეჰშვენის. სიამაყე მისი მომამწყვეველი უნდა იყოს თვის თავის პატივის ცემისა და იმას ჰნიშნავდეს, რომ კაცს თავი თვისი მართლა პატიოსან კაცად მიაჩნია. ჯენტლმენს უნდა შეჰფეროდეს ერთის მხრით ბრძანებლობა. და მეორეს მხრით მორჩილება. უნდა შეიშვნოს როგორც ყოველგვარი უფლება, აგრეთვე მოვალეობაც; მბრძანებელადაც უნდა გამოდგეს და ბრძანების აღმასრულებლადაც. ჯენტლმენი უნდა იყოს კაცი უანგარო, საზოგადო და სასარგებლო საქმეს მუდამ უნდა შესწიროს შრომაცა და ფულიც. რაც უნდა დიდი უბედურება და გაჭირვება ეწვიოს ჯენტლმენს, წარბიც არ უნდა შეიხაროს, თუ კარგს საქმეს დაადგა, გზიდგან არ უნდა გადუხვიოს და ეცადოს ერთხელ დაწყებული საქმე უექვეოდ დასასრულოს. ჯენტლმენი უპირველეს ყოველისა თავის თავს უნდა სცემდეს პატივსა და თავ-მოწონებით ხელებს იფშვნეტენ. ესეთი ქვიშაზე აგება საბუთისა მეტად ადვილია და იმათ, ვისთვისაც ღმერთს არ უღირსებია უნარი ქკუათა მოძრაობისა და საქმის ღრმად სინჯვისა და საღერღელი კი თავის გამოჩენისა მოსვენებას არ აძლევს, სხვა რა უნდა ჰქმნან, თუ ფონს არ გავიდნენ ამისთანა გაკვეთილ ლათაიებითა.

მართალია, აქაური მკვიდრნი სხვებზე უკან ჩამორჩენილია ძალიან, ბევრი რამ აკლია, ბევრი რამე აქვს სანატრელი თვისის ნაკლის შესავსებლად, მაგრამ მარბაროსობასა და ველურობაზე ძალიან შორს არიან წინ წასულნი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ის ამბავი, რომ აქაურმა ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად, თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარეგობა ერთნაირია, უფრო წინ წასულად გონებითად და აქედან ზნეობითადაც. ვაზი, ვენახი ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათ მოქმედებისა და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება უფრო მეტს გონების გარჯას ჭ მოხერხების ძალას ჰთხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედან გახსნისა და წარმატებისაც.

გარდა ამისა ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის. იგი ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგი თავნი, ნელნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრა-ლოგოლოგ. ინგლისელი ოჯახში ბატონია, თავი ოჯახისა და ბრძანებელი. მისის სურვილითა და ბრძანებით უნდა მოხდეს ყოველივე განკარგულება ოჯახისა და ცხოვრებისა. მამა ზრუნავს შვილების საკმელ-საცმელისა, სამოსელისა და სწავლისათვის. მამაა ოჯახში პატრონიცა, ბატონიცა და მსაჯული და მოსამართლე. ინგლისელის ოჯახი მთელს სახელმწიფოსა ჰგავს და ამიტომ მართლა რომ გონიერი მმართველი ეჭირვება. შეძლებულ ინგლისელის ოჯახში, დედ მამის გარდა, არიან საკმაოდ შვილები, ბებიები, პაპები, მამიდები, დეიდები გუვერნერები და გუვერნანტკები, მსახურნი და მოახლენი. ოჯახის პატრონი ამასთანავე ბატონიც არის და მოსამართლეც. ვიდ-კაცი შვილები და გასათხოვარი ქალები, ვიდრე დედ-მამის სახლში არიან, მამას ემორჩილებიან ყველფერში და თვალწარბში შესცქერიან. შვილებმა დიდი ხანია შეიგნეს რა ძნელია ოჯახის პატრონობა, თვალ-წინ უდგათ მედგარ შრომაში გატარებული სი-

ფელეტონი

ტფილისი, 12 სექტემბერი

წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით შესანიშნაია მით, რომ მეტად გახშირდა ჩვენში ავაზაკობა ძარცვა-მტაცებლობისათვის არამც თუ დიდს შარა-გზებზე, არამედ შიგ სოფლებშიაც, ქუჩრდობას და ქურდ-ბაცაცობას ხომ ნუღარ იტყვით. ავაზაკობამ, ზოგჯერ კაცის-კვლამაც, შეერთებულმა ძარცვა-მტაცებლობასთან, ისე გაბედვით გამოიდო თავი ჩვენში, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩა ამიერ-კავკასიაში,—ავაზაკთა სარბიელად არ გამხდარიყოს. ძნელად გადის ისე დღე, ან იქიდამ, ან აქედამ ამბავი არ მოდიოდეს, რომ ავაზაკები დახვდნენ, გაძარცვეს მგზავრად მოდენილები შარა-გზაზე, ან ამასა და ამას შეუცავდნენ სოფლად სახლში, წაიღეს რაც შეეძლოთ და ზოგჯერ დახოცეს კიდეც, ვინც-კი გაბედა და დაეპირა თავს როგორმე უშველოსო. ესეთს თამამს და კადნიერს ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას, როგორც ეხლაა, ესე ყველგან მოდებულს და თავ-ადებულს ძნელად თუ ვინმე მოსწრებია უწინ.

ამ ნაირმა შეუუწყნარებელმა და აუტანელმა მდგომარეობამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და შეეძრწუნა თვით საზოგადოება და მკვიდრნი. აქაური ჟურნალ-გაზეთები ჰცდილობენ უბოვონ თავი და ბოლო ამ მწვავს და შემაძრწუნებელს ვითარებას და წამალი რამ დასდონ, მაგრამ, რადგან ხელთ არა აქვთ არავითარი გამონაძიები და გამონარკვევი ამ მხრით, არავითარი ცნობა მისი თუ—სად და როგორ მოწყობილნი არიან მკვიდრნი საშინაოდ

ინგლისელი ჯენტლმენი უნდა იყვეს უხვი, ხოლო უნდა ეცადოს სიუხვე თვისი საქვეყნოდ არ გამოიტანოს და ამით თავი არ გამოიდოს; ჯენტლმენი უნდა იყვეს თავმდაბალი, მორიდებული, გულ-კეთილი და ამასთანავე ამაყი. ხოლო ამპარტავნობა ჯენტლმენს არ შეჰშვენის. სიამაყე მისი მომამწყვეველი უნდა იყოს თვის თავის პატივის ცემისა და იმას ჰნიშნავდეს, რომ კაცს თავი თვისი მართლა პატიოსან კაცად მიაჩნია. ჯენტლმენს უნდა შეჰფეროდეს ერთის მხრით ბრძანებლობა. და მეორეს მხრით მორჩილება. უნდა შეიშვნოს როგორც ყოველგვარი უფლება, აგრეთვე მოვალეობაც; მბრძანებელადაც უნდა გამოდგეს და ბრძანების აღმასრულებლადაც. ჯენტლმენი უნდა იყოს კაცი უანგარო, საზოგადო და სასარგებლო საქმეს მუდამ უნდა შესწიროს შრომაცა და ფულიც. რაც უნდა დიდი უბედურება და გაჭირვება ეწვიოს ჯენტლმენს, წარბიც არ უნდა შეიხაროს, თუ კარგს საქმეს დაადგა, გზიდგან არ უნდა გადუხვიოს და ეცადოს ერთხელ დაწყებული საქმე უექვეოდ დასასრულოს. ჯენტლმენი უპირველეს ყოველისა თავის თავს უნდა სცემდეს პატივსა

ლებულს, გონიერს. ჯენტლმენი უნდა

ასე ამბობს, რომ ბოლოდ ეშინიან ცხოვრების ჭიდილისა, შრომისა, გაჭირვებისა და უბედობისაო. მისის აზრით, ყოველი კაცი მოვალეა იშრომოს და დაეხმაროს რომელსამე სასარგებლო საქმეს, თუ არა და კაცი არა ხარ, საზოგადოება არავითარს პატივს არა გცემს და არცა გაქვს უფლება ვისგანმე პატივისცემა მოიკითხო.

მთელ თავის სიცოცხლეს ინგლისელი იმასა ჰფიქრობს ჯენტლმენის სახელი დავიმსახუროვო. ამასვე აგონებს თავის შვილებს სიყრმიდგანვე, აგონებს და ასწავლის, როგორ უნდა იცხოვრონ, როგორ მოიქცნენ ყოველ გვარ შემთხვევაში. როდესაც ინგლისელი ვისმეზე იტყვის: „ნამდვილი ჯენტლმენია“,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ეს კაცი ყოველის მხრივ პატიოსანი და კაცური კაცია. ინგლისში ჯენტლმენს ეძახიან კაცს დარბაისელს, თავდაჭერილს, განათ-

ინგლისელი ოჯახში ბატონია, თავი ოჯახისა და ბრძანებელი. მისის სურვილითა და ბრძანებით უნდა მოხდეს ყოველივე განკარგულება ოჯახისა და ცხოვრებისა. მამა ზრუნავს შვილების საკმელ-საცმელისა, სამოსელისა და სწავლისათვის. მამაა ოჯახში პატრონიცა, ბატონიცა და მსაჯული და მოსამართლე. ინგლისელის ოჯახი მთელს სახელმწიფოსა ჰგავს და ამიტომ მართლა რომ გონიერი მმართველი ეჭირვება. შეძლებულ ინგლისელის ოჯახში, დედ მამის გარდა, არიან საკმაოდ შვილები, ბებიები, პაპები, მამიდები, დეიდები გუვერნერები და გუვერნანტკები, მსახურნი და მოახლენი. ოჯახის პატრონი ამასთანავე ბატონიც არის და მოსამართლეც. ვიდ-კაცი შვილები და გასათხოვარი ქალები, ვიდრე დედ-მამის სახლში არიან, მამას ემორჩილებიან ყველფერში და თვალწარბში შესცქერიან. შვილებმა დიდი ხანია შეიგნეს რა ძნელია ოჯახის პატრონობა, თვალ-წინ უდგათ მედგარ შრომაში გატარებული სი-

თა დი თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ ნაღვაწისა. აქაური გლეხ-კაცი შეჭხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედ-მოქმედებდეს აქაურ გლეხ-კაცობის ავ-კარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამიტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივ-დებისა აქ უფრო მეტს საზღვობას უნდა ჰპოულობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორ ნაირ ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივ-საცემს ღირსებას.

იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილება ამისთანა ვითარებას წარმოადგენს, ვერ შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ ამით გამოიხსნას ‚ნასკვი იმისთანა ავ-ზნეობისა, რომელიც კაცს ავაზაკად ჰქმნის.

მიზეზი სხვაგან უნდა მოიძებნოს. ზოგი ერთი აქაური გაზეთები მიზეზად ავაზაკობისას ასახელებენ მამულების ნაკლებობას და უქონლობას. რა თქმა უნდა, თავი და ბოლო ავ-კაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, ეკონომიური ჭირ-ბოროტი და გაჭირება არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ. ხოლო ნაკლებობა და უქონლობა მამულისა ერთის დღის საქმე ხომ არ არის და არც იმისთანა რამ არის, რომ დღეს წავიდეს და ხვალ მოვიდეს. თუ მამულის უქონლობას, ან ნაკლებობას აქ ადგილი აქვს, ის გარემოება როგორღა აიხსნება, რომ ერთს წელს უფრო ხშირდება ავაზაკობა და მეორე წელს ჭკლებულობს? მაგალითებრ, წელს უფრო გაძლიერდა და გახშირდა ავაზაკობა, ნუ თუ მარტო წელს უცბად შეუცოტავდათ აქაურებს მამულები და უილაჯობით ხელი მიჰყვეს ძარცვა-მტაცებლობას! შეუძლებელია ასეთი უცბობა ვიგულისხმოთ და, მაშასადამე, შეუძლებელია მიზეზი ავაზაკობისა და ნაშეტნავად მისის გახშირებისა მამულის ნაკლებობაში დავინახოთ.

მართალია, საზოგადოდ სხვის ქონების პარვა-მტაცებლობა შეიძლება მიეწეროს, სხვათა ეკონომიურთა გარემოებათა შორის, მამულის უქონლობასაც, რომელიც მკვიდრს უილაჯოდ ჰქმნის ლუკმა-პურის შოვნისათვის, მაგრამ ჯერ, მინამ ამ გარემოებას დავიჯერებთ, საჭიროა გამოძიებულ იქმნას—რა ადგილებიდან გამოდიან ავაზაკნი, იმ ადგილებში რა გვარად არის მორიგებული მამულები მკვიდრთა შორის, რა მეტ-ნაკლებობაა მამულებისა და რა ჯურის მკვიდრნი უფრო ეტანებიან ავ-კაცობას. ვიდრე ყოველივე ეს გამორკვეული არ იქნება, ძნელია კაცმა გულ დაჯერებით მიიღოს მამულის ნაკლებულობა მიზეზად ავაზაკობისა.

უფრო ჭკუას ახლოა პირველ შეხედვით სხვა აქაურ გაზეთისაგან სხვათა შორის ნანიშნი მიზეზი. იგი გაზეთი ამბობს, რომ კატორღიდამ და ციმბირიდამ გამოქცეულნი, აქედამ ავ კაცობისათვის სასჯელად გაგზავნილნი, მოდიან და აქ ავაზაკობენო. ადვილად დასაჯერებელია, რომ ამ გზით რაზმი ავაზაკობისა ჰმატულობდეს. ხოლო ერთი ეს ვიკითხოთ: მინამ იმათ კატორღიაში თავს უკრავდნენ და მერე იქიდამ გამოიპარებოდნენ, მათი ავ-კაცობა ხომ აქვე უნდა გაჩენილიყო და არსებულიყო, უმისოდ კატორღაში რად ამოაყოფინებდნენ თავს. მაშასადამე, მიზეზი ავაზაკობის აქ, ჩვენში, ფეხის ადგმისა, აქვე შინ უნდა მოიძებნოს, აქვე უნდა ჰპუღობდეს ის სენი, რომელიც აჩენს ჩვენში ავაზაკობას.

ჩვენ ვცდებით შემდეგს წერილში ეს მიზეზნი აგნუსხოთ და ჩამოვთვალოთ, რამოდენადაც იგინი ჩვენს თვალში იხატებიან მოსაზრებით და არა გამონაძიებით და გამონარკვევით, რადგანაც ნაძიები და გამონარკვევი სრულად არსად მოიპოვება ჩვენში.

მთავროგის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება

იმის შესახებ, რომ სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო და სამონასტრო სკოლები საერო განათლების სამინისტროს უწყებას დაექვემდებაროს.

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და სახელმწიფო სასჯელის საზოგადო კრების აზრი იმის შესახებ, რომ სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა და მონასტრების სკოლების საერო განთლების სამინისტროს უწყებას დაექვემდებაროს, დასმტკიცა და ბრძანა მისი აღსრულება. ხელს აწერს: სახელმწიფო სასჯელის თავმჯდომარე მიხეილი.

სახელმწიფო სასჯელის აზრი:

სახელმწიფო სასჯელმ განარჩევა, სახელმწიფო ეკონომიისა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა შეერთებულ დეპარტამენტში და საზოგადო კრებაზედ, განახილა რა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგენილება იმის შესახებ, რომ სომეხ-გრიგორიანთ საეკლესიო სკოლები განთლების სამინისტროს უწყებას დაექვემდებაროს, შემდეგი აზრი დადგინა:

1, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებსა და მონასტრებთან დარჩებულნი სასწავლებლები დაექვემდებაროს საერო განთლების სამინისტროს ამ საზოგადო წესითა და რიგით, რომელიც მიღებულია ამავე სამინისტროს ქვემდებარე სხვა სასწავლებლებთათვის. ხოლო ამ მიზეზით, რომ ასაღის წესით გამგეობის დროს სომეხ-გრიგორიანთა სამღვდელოებას შერჩეს უფლება თავად-ეერი ადგილნის ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა სასულიერო განთლებას.

2, აწ მომავალი წესები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიების სასულიერო აგადმყოფისა და საუბრო-სასულიერო საამასრაის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3, სომეხ-გრიგორიანთა საუბრო-ეკლესიასტორიები ამიერიდგან განთავისუფლებულ იქმნენ საეკლესიო წესწყობილების მასწავლებელთა და მოსწავლეთა სიბის შედგენის მოვალეობისაგან. ნამდვილს თავმჯდომარეთა და წევრთა ხელი აწერია.

ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 15 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს მორიგს კრებას ქალაქის გამგეობა თავისს მოხსენებას წარუდგენს შესახებ ქალაქის ცხენის რკინის გზის შესყიდვისა ბელგიელ უსახელო საზოგადოებისაგან.

⁂ ქალაქის სამკურნალო, რომელიც იარმუკის ახლოს არის, ამ თვის 13, 14 და 15 დაკეტილი იქმნება, რადგანაც სამკურნალო შენობა უნდა შეაკეთონ.

⁂ გუშინ, 12 სექტემბერს, ხმოსანმა და ქალაქის ერთის ნაწილის მზრუნველმა თავ. ნ. ზ. თუმანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება, რომ ზოგიერთ ადგილებში აგერ ეს ერთ თვეზე მეტია, არა თუ ფარნებს არ ანთებენ, ბევრ ადგილას ფარნები ჩამოიღეს კიდეკაო. ამიტომ თავ. ნ. ზ. თუმანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, მიჰმართეთ სათითაოდ ბოქაულებს და სთხოვეთ, რომ პოლიციის მოხელეებს უბრძანონ ყოველ დღე აუწყონ მას, სად არ ანთია ხოლმე ფარანი და სად მხოლოდ ოდნავ ბეჟუტავს.

⁂ 11 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობამ საღილი გამართა ტფილისის საკრებულოს დარბაზში ტფილისში მყოფ უცხო ქვეყნელ გეოლოგთა პატივსაცემად. საღილზედ მოიყარეს თავი თითქმის ყველა დაპატიჟებულთა, სახელდობრ 240 კაცმა გეოლოგმა. აქვე იყვნენ: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, კავკასიის სანკისტორიები ამიერიდგან განთავისუფლებულ იქმნენ საეკლესიო წესწყობილების მასწავლებელთა და მოსწავლეთა სიბის შედგენის მოვალეობისაგან. ნამდვილს თავმჯდომარეთა და წევრთა ხელი აწერია.

⁂ ქალაქის საბჭოს მორიგს კრებას ქალაქის გამგეობა თავისს მოხსენებას წარუდგენს შესახებ ქალაქის ცხენის რკინის გზის შესყიდვისა ბელგიელ უსახელო საზოგადოებისაგან.

⁂ ქალაქის სამკურნალო, რომელიც იარმუკის ახლოს არის, ამ თვის 13, 14 და 15 დაკეტილი იქმნება, რადგანაც სამკურნალო შენობა უნდა შეაკეთონ.

⁂ გუშინ, 12 სექტემბერს, ხმოსანმა და ქალაქის ერთის ნაწილის მზრუნველმა თავ. ნ. ზ. თუმანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება, რომ ზოგიერთ ადგილებში აგერ ეს ერთ თვეზე მეტია, არა თუ ფარნებს არ ანთებენ, ბევრ ადგილას ფარნები ჩამოიღეს კიდეკაო. ამიტომ თავ. ნ. ზ. თუმანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, მიჰმართეთ სათითაოდ ბოქაულებს და სთხოვეთ, რომ პოლიციის მოხელეებს უბრძანონ ყოველ დღე აუწყონ მას, სად არ ანთია ხოლმე ფარანი და სად მხოლოდ ოდნავ ბეჟუტავს.

⁂ 11 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობამ საღილი გამართა ტფილისის საკრებულოს დარბაზში ტფილისში მყოფ უცხო ქვეყნელ გეოლოგთა პატივსაცემად. საღილზედ მოიყარეს თავი თითქმის ყველა დაპატიჟებულთა, სახელდობრ 240 კაცმა გეოლოგმა. აქვე იყვნენ: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, კავკასიის სატ-

ოცოსლე მამისა და სწორედ ამიტომ არის, რომ პატივსა სცემენ მამას და მოწიწებით ეტყვიან. „ასე უნდა მამას, ეს ესიმოვნება მამას, ეს „უყვარს მამასა“ წამ-და-უწუმ გაიგონებს კაცი ინგლისელის ოჯახში. კი არ იფიქროთ, რომ ინგლისელი ახალგაზდობა ყურ-მოჭრილი ყმა იყოს დედ მამისა და თავისუფლებას იყოს მოკლებული. სრულიადაც არა. ინგლისელი ახალგაზდა ქალი იდენად თავისუფალია, რომ შეუძლიან მარტომ დაიწყოს მოგზაურობა და მთელი ინგლისი შემოიაროს. სწავლას რომ დამთავრებს ინგლისელი ქალი, რომელი ხელობა და საქმეც მოეწონება, იმას მოჰკიდებს ხელსა. აქ მამა სრულებით არ ერევა. ზოგი ქალი სკოლასა ჰმართავს, ზოგი სხვა-და სხვა საზოგადოების წევრად ეწერება, ზოგი მასწავლებლობს, ზოგი კალამს იღებს და ლიტერატურას ემსახურება. აქ ფიქრად არავის მოუვა, როგორც სხვა ზოგიერთ ქვეყნებში, ვითომც საზოგადო მოღვაწეობა ქალს აძცირებდეს. პირიქით, ინგლისელი ამგვარს ქალებს მომეტებულს პატივსა სცემს; ხოლო ქარაფშუტა და არაფრის მცოდნე ქალს ინგლისელი მამა ისევე სტუქსავს, როგორც ვაჟი-შვილს. სწორედ ეს გახლავთ იმისი მიზეზი, რომ კარგა ხანია, რაც ინგლისელმა ქალმა მხნედ ჩასჭიდა ხელი სწავლა-განათლებას. ძლიერ ბევრს შეჰხვდებით ინგლისში ისეთს ქალს, რომ რამდენიმე ენა ზედ მიწევნით იცოდეს, ისე ბრძანეთ, ლათინური და ბერძნულიც ხშირად მშვენივრად იცოან. ბევრი ნიჭიერი-მწერალი ქალიც არის ინგლისში და ზოგი მთგანი დიდი ნიჭისაც. ქალების მიერ მრავალი ფრანგული და გერმანული წიგნია თარგმნილი ინგლისურ ენაზედ. ზოგი ქალი ჟურნალში სწერს, ზოგს მთელი სკოლა აბარია. ვერც სიმდიდრე, ვერც სახელი წარჩინებულის ოჯახისა, ვერც კარგი შთამომავლობა ინგლისელს ქალს ვერ ააცდენს შრომას და მოვალეობას საზოგადოებისადმი.

ბევრსა ჰგონია, ინგლისელი სტუმრის მოყვარე არ არისო, ვერაფერი მასპინძელიაო. ტყუილია. საკმარისია ინგლისელმა გიიგოს, რომ უცხოელი ხართ, ან იმ ადგილს არ იცნობთ, სადაც მოხვედით, რომ გულ-კეთილადა და სიამოვნებით დაგიხვდეთ. ეს კი არის, რომ ამისათვის ვისგან მე. წერილი უნდა გქონდეთ და ისეთის კაცისა, რომელსაც იცნობს ინგლისელი, ან გაუგონია, თორემ ზეადაც არ შემოგხედავთ. მაგრამ, თუკი ასეთი წერილი მიუტანეთ და გაგიცნოთ, თავისს მოვალეობად მიიჩნია ყველაფერში დაგეხმაროსთ და უპირველეს ყოვლისა თავისს სახლში წაგიყვანთ. გეტატეობის სადილად, მოა აქვს საჭირო წიგნები და გაძლეს ცნობებს შესახებ იმ ადგილისა, რომლის შესწავლაცა გსურს, დაგდევს უკან, საცა-კი გნებავს წასვლა და გზას გასწავლის, წაგიყვანს კლუბში, გაგაცნობს თვისს ნაცნობებს და ნათესავებს, დაგპატიჟებს სოფლად საზაფხულოდ და წასვლის დროს თვისს ნაცნობებთან წერილებს გაგატანს და სთხოვს, ჩემი კარგი მეგობარია და როგორც მე, ისე მიიღეთ და ყოველგვარი შეწეობა აღმოუჩინეთო.

მკითხველი, უეჭველია დარწმუნდა, რომ ინგლისელი საქმისა და თავისუფლების მოყვარე, ნასწავლი და განათლებული კაცი ყოფილა. როგორ გაოცდება ეხლა, როდესაც მოვახსენებ, რომ ამასთანავე ინგლისელი ჯერ ერთი ცრუ-მორწმუნეა და მეორეც—მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ უყვარს თავისუფლება, მაინცა საზოგადოებისა და ერთხელვე დაწესებული ჩვეულებისა. თუმცა ინგლისელს საზოგადოდ მორთვა-მოკაზმვა არ უყვარს, მაგრამ დღეში სამჯერა და ოთხჯერ იცვლიან ტანთ-საცმელს. ინგლისში ვერა ნახავთ, ვერც ოქრო-მკედით ნაკერ მუნდირებსა, ვერც ორდენებს. ყველგან და ყველას შავი ფრაკი აცვია, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა წუნია რამ არის ინგლისელი ტანთ-საცმელისა.

წელან მოგახსენეთ, ინგლისელი დაფიქრებული, დარბაისელი და გონიერი კაცი გახლავთ მეთქი. ეს ხომ ასეა, მაგრამ ამავე დროს ინგლისელს შეუძლიან მეელი სიცოცხლე შესწიროს, რათა თვისი ფიქრი და სურვილი ასრულოს. თუ ღმერთმა გულში ჩაუნერგა სიყვარული ბეჩავისა და დავრდომილისა, თუ ღვთის სული უდგია გულში, დიდი სარგებლობა მოაქვს ქვეყნისთვის, თუ არადა, ქვეყანა დასცინის, რადგანაც თვისს ძალ-ღონეს არა ჰზოგავს ახირებულსა და ხშირად უგუნურ სურვილის ასასრულებლად. იმ თვისებას, რომელიც ინგლისელს ხასიათად აქვს და რომელიც უკვე მოგახსენეთ, უნდა დავუმატოთ აღვირ წახსნილი ფანტაზია და ოცნებობა, შესანიშნავი ენერგია, რომელიც არც ერთს ერსა და ტომს არ მოეპოვება, გარდა ინგლისელისა, ფოლადის გული, მედგარი ხასიათი, საოცარი მოთმინება, თვით ნებობა და ჯიუტობა. ასე ბრძანეთ, ყოვლად შეუძლებელის საქმის ასრულება რომ ჩაიდოს გულში ინგლისელმა, რაც უნდა მოხდეს მერე, თვისს გულის წადილს მინც აღარ დაეთხოვება და აღარა. რაც უნდა დაბრკოლება დახვდეს წინ, უკან არ დაიწევს. რაც უნდა უბედურება შეეშხვეს ამ გულის წადილის ასრულებისათვის ბრძოლის დროს, წარბს არ შეიხრის და გულს არ გაიტეხს. უბედურება და განსაცდელი პირიქით აქეზებს ინგლისელს. ეს თვისება მარტოდ მარტო ინგლისელის ხასიათს ეკუთვნის. და თუ, ვინიცობაა, ინგლისელის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ბრძოლა ან არ შეუძლიან ან საჭიროდ აღარ მიაჩნია, ავადა ჰხდება, დარდობს, მოწყენილია და ხშირად თვისის ხელით ესალმება წუთი სოფელს ან არა და ისეთს ახირებულს რასმეს მოახდენს, რომ ქვეყანა გაკვირვოს და აალაპარაკოს. ჯერ ისეც ძლიერ ახირებული და თავის ნებაა ინგლისელი და ამ შემთხვევაში ხომ ბადალი არა ჰყავს.

ინგლისელს კაცს ყველაფერს ურჩევნია თვისი სიმშობლო, ჯალობა და ოჯახი. ინგლისელი დღე და ღამ იმის ფიქრშია, ჩემს შვილს გულში ჩავუნერგო სამშობლოს სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა 2025

შვილი დროებით აღასრულებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობას.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან პეტერბურგის სახელმწიფო ბანკის კანტორის დირექტორი ბ-ნი ვ. ვ. ნიკიტინი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების სარევიზიოდ და 50 ათასი მანეთის მოპარვის საქმის გასარჩევად.

⁂ უმაღლესად ნება დაერთო ვაჭარს სალერნის გაიყვანოს და აწარმოოს ვიწრო-ლიანდაგი-ნი რკინის გზის შტო ბათუმიდგან კაპანდიდამდე იმ პირობით, რომ მეორე კლასით მოგზაურს ვერსში 6 კაპეიკზედ მეტი არ დადახდეს, ხოლო მესამე კლასით მოგზაურს—3 კაპ. მეტი. მგზავრის ბარგის გაგზავნა ფუთი ვერსზედ 1 კაპეიკს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ტვირთისა: ფუთი მადნისა—$^1/_4$ კ., დანარჩენი ტვირთი $^1/_2$ კაპეიკს.

⁂ ტფილისის მაზრის სოფ. წინწყაროს საზოგადოებამ მიჰმართა კავკასიის სიმშვიერატორო სამეურნეო საზოგადოებას, მოახსენა, წელს ისეთი მცირე მოსავალი გვქონდა, რომ სათესლედაც-კი არ დაგვრჩა ხორბალიო,გთხოვთ დაგვეხმაროთ 280 კომლს და 10,000 ფუთი ხორბალი გვიშოვოთ სადე სათესლედ, 1 ღვინობისთვისაო.

სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მისწერა ბევრს მემამულეს და სთხოვა მოგვყიდეთ ამდენი ხორბალიო, მაგრამ ყველასაგან უარი მოუვიდა, გასასყიდი ხორბალი არა გვაქვსო.

⁂ ოსმალეთის ქვეშევრდომთ მამად ჰუსეინ-ოღლიმ (გარეგან გეორქოვი) და მურადი-ჰასან-ოღლიმ (მოსეს სათრიქოვი) ტფილისის პოლიციმეისტერს ქადალდი მიართვეს, რომ გვსურს მოვინათლოთ და მართლმადიდებელი სარწმუნოება მოვიღოთო. პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ორივენი სომხები ყოფილან

და ეროვნული ამაყობაო. აიღეთ რომელიც გნებავდეთ წიგნი, სახელმძღვანელო ისტორიისა ან გეოგრაფიის შესასწავლად და ყველა წიგნში ამოიკითხავთ, რომ ინგლისი უპირველესი, უფიადესი და უმდიდრესი ქვეყანაა მთელის დედამიწის ზურგზეო. ინგლისს ვერც ერთი სახელმწიფო ვერა სჯობნისო, ვერც ვაჭრობითა, ვერც წარმოებით, ვერც მრეწველობით, ვერც სწავლითა და ვერც განათლებით. ჩვენი ერი ყველაზედ უკეთესიაო, მთავრობა უკეთესი. იმდენი ენციოსი და ნიჭიერი კაცი არც ერთს ერს არა ჰყოლია, როგორც ინგლისელებსაო და სხვ. რა მოგახსენოთ, იქნება ყოველივე ეს მართალიც იყოს, მაგრამ ის კი ვერაფრად მოსაწონია, რომ ამ მიზეზისა გამო ინგლისელს, სულ ერთია რა წოდებისაც უნდა იყოს, მეტად მოაქვს თავი ამ ინგლისელობით და მედიდურობს. ინგლიელი დარწმუნებულია, ჩემს სამშობლოში ყოველიფერი უკეთესად არის მოწყობილი ვიდრე სხვაგნო, თუ ჩემს სამშობლოში ცუდი რამ არისო, მედიდურად ამბობს ინგლისელი, ეს ცუდი სხვა ერისთვის ისე კარგია, რომ ჯერ ვერც-კი მიუხწევია ამ სიკარგემდე. ამიტომ ინგლიელი სხვა

ერის კაცს მედიდურად უყურებს, თითქოს ეუბნება, ვაი შენი ბრალი, შე საცოდავო, რა უბედური ხარ, რომ ინგლისელი არა ხარო. ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისელი არა სცდილობს სხვა ერის გაცნობას. ფრანგმა რომ უცხო კაცი ჰნახოს, იმ წამსვე ლაპარაკს დაუწყებს, გამოჰკითხავს ყველაფერს, გაიცნობს და თავს გაიცნობს. ინგლისელი კი ყველას პირს აარიდებს და ლაპარაკი არ უყვარს. მაგრამ ერთის მხრით ეს სიამაყე სასარგებლოც არის. ევროპის არც ერთს სახელმწიფოში არ არის ისეთი თავისუფალი დაწესებულებანი, როგორც ინგლისში. არც ერთს სახელმწიფოს არ მოეპოვება ინგლისისთანა ბალი ქვეყნის ზღვებში. არსად არ არის როგორც აქ განვითარებული და გაძლიერებული სამთო და სამფაფაქტურო მრეწველობა. ამასთანავე არც ერთი ერი ისე არ ებღაუჭება თავისს წარსულსა, ცრუ მორწმუნებასა და ჩვეულებას, როგორც ინგლისისა. მაგრამ ეს ინგლისელს ხელს არ უშლის ახალ დაწესებულებათა შემოღებას. ინგლისელი დიდს პატივსაცა სცემს საზოგადოებასა და თითეულ ადამიანს პიროვნებას და ამავე დროს მოწიწებით შესცქერის დიდის ხარისხის

მოგვეცით და ამ ფულით იმდენ ბალახს მოვიყვანთ, რომ მთელს ზამთარს საქონელს თივა თავზედ საყრელადა ჰქონდესო. გაგვეხარდა, იმ წამსვე გადავდეთ სამალახო ადგილები. ბალახის მოყვანა და ჩვენი გადარჩენა გაჭირვებისაგან თავს იდვა ხარჯის ამკრებმა ისპექტორმა ნასწავლმა აგრონომმა ბ-ნმა ლუკასიანმა. დასთესეს ჩვენი მხსნელი ბალახი და რა გამოვიდა? თქვენი მტერი დარჩეს ხელცალიერი, როგორც ჩვენ დავრჩით. არ ვიცით,იმ დალოცვილს ნასწავლს აგრონომს ეს საქმე არა სცოდნია, თუ დრო და მოცალეობა არა ჰქონდა ამ საქმის გაძღოლისა, მაგრამ ბალახი-კი არ მოვიდა. იქვე შორი ახლოს, სადაც მთავრობის მიერ ნაბოძები 200 მანაი არა ყოფილა დათესილი, ²მინდორი მშვენიერის ბალახით შეიმოსა და საგანგებო სამალახე ადგილებში-კი ბალახმა თავი არ ამოჰყო. გვიკვირს და გონს ვერ მოვსულვართ, რა დავუშავეთ ისეთი ბ-ნს ნასწავლ აგრონომს, რომ ასე მშრალზედ დაგვტოვა და უარეს გაჭირვებაში ჩაგვგდო. ან რას იტყვის გლეხი? ეგეც თქვენი ნასწავლი კაცები, უბრალო ბალახიც-კი ვერ მოუყვანიათო“.

⁂ სოფ. სჰჩინო. სჰჩინო მდებარეობს 25 ვერსის მანძილზედ ქუთაისიდგან. აქაური არე-მარე მშვენიერებაა. თვით სოფელში ცხრას კომლამდე მკვიდრია. თუმცა სკოლებია დაარსებული, მაგრამ არა ჰყოფნის ხალხს,ამიტომ ერთ მდგდელს. გვარად დათუნაშვილს, თავისს მრევლში გამოუცხადებია, რომ ღარიბ-ღატაკთ შეუძლიანთ თვისი შვილები გამოგზავნონ ჩემთან წერა-კითხვის სასწავლებლად უფასოდაო, და ახლა ყოველ-წელიწადს ჰნახავთ ეკკლესიის გალავანში შეკრებილ ბავშვებს და იმათს მასწავლებელს, რადგან სახლი და ბინა არა აქვთ. ორი სამი დღეა რაც გახლდით ამ მღვდელთან და, წარმოიდგინეთ, რომ თითოეულმა ბავშმა მშვენერი ქართული წერა-კითხვა იცის, არაკები, ლექსები და

კაცს. რაც უნდა დიდი სახელი გაითქვას და მოიხვეჭოს საშუალო წოდების კაცმა, რაც უნდა დიდი სიმდიდრე შეიძინოს, მაინც დიდის მოწიწებით შესცქერის წარჩინებულ კაცს უფროსს შვილს, ვითარცა ხვალინდელს ლორდს. ინგლისელი ზიზღით უყურებს ღარიბს კაცს, ადამიანად არ მიაჩნია, მასთან ლაპარაკს არ იკადრებს და ამავე დროს ასი ათასობით და მილიონობით ფულსა სწირავს ღარიბ-ღატაკთათვის. ეს ერთმანერთში მოურიგებელი და ერთმანერთის წინააღმდეგი თვისებანი თითქოს ბუნებით თან დაჰყოლია ინგლისელს. ვაჭარ კაცს, რომელიც დღე და ღამ კონტორაშია სკამზედ დაკერებული გაგიოგეთი უყვარს ბუნება, სოფელი, ყვავილები. დინჯი, დამბალები, დადგრემილი ინგლისელი დოღის დროს 10 წლის ბავშვსავით გახალისდება ხოლმე და ცელქობს. ინგლისელი მეტად გულკეთილი კაცია და კაცთ-მოყვარე, პირუტყვიც-კი ებრალება და კანონი გამოსცა, პირუტყვი არავინ დასტანჯოსო, დააარსა პირუტყვთა მფარველი საზოგადოება და ამავე ინგლისელს გაგიეგეთ უყვარს მუშტის კრივი და იმის ყურება, თუ როგორ უსისხლიანებს თავ-პირს ერთი მოკ-

---

სხვა. იციან აგრეთვე ცოტა რუსული კითხვაც. სწავლობენ მცირეოდენად არითმეტიკასაც და ყველა ეს შეუსწავლიათ რამდენისამე თვის განმავლობაში, რადგანაც წვიმიანს დღეებში სწავლა არ არის თავ-შესაფარის უქონლობისა გამო.

დიდი მადლობის ღირსია მღვდელი დათუნაშვილი და კარგს ინებებდნენ დანარჩენი მღვდლებიც, რომ ამ მშვენიერს მაგალითს მიჰბაძავდნენ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ

10 სექტემბერი.

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზედ. ვიდრე კრება მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდა, გამგეობის წევრმა ე. ი. ხოსროევმა გააცნო კრებას აღმასრულებელ კომისიის მოხსენება გამომცხვარ პურის ნიხრის მომატების შესახებ და გამგეობის დასკვნა ამავე საგნის გამო. რადგანაც ფქვილის ფასმა ამ უკანასკნელ დროს აიწია, ტფილისის მეპურეებმა სთხოვეს გამგეობას, გამომცხვარ პურს ნიხრი მოუმატეთო. გამგეობამ ამ საგნის შესახებ ცნობების შეკრება სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის ზედამხედველს და იმის აგენტებს მიანდო, რათა ამ რიგად შეკრებილის ცნობების შემწეობით გამოიკვლია ეს საგანი. როდესაც აღმასრულებელმა კომისიამ შეკრებილი ცნობები განიხილა, საპიროდ დაინახა გამომცხვარ პურის ნიხრის მომატება: ფურნის პურზედ პირველი ხარ.—1 კაპ., მეორე და მესამე ხარ.—$^1/_2$, თონის პურზედ პირველი ხარ.—$1^1/_2$ კ. ხოლო მეორესა და მესამე ხარ.—$^1/_2$ კ. ეს გარდაწყვეტილება ერთხმად იქმნა მიღებული აღმასრულებელის კომისიისა და გამგეობისაგან, კომისიის ერთის წევრის გარდა.

ხმ. თუმანოვი ნიკ. ზაქ. მე როგორც აღმასრულებელი კომისიის ერთი წევრთაგანი წინააღმდეგი ვიყავი კომისიის გადაწყვეტილებისა და ეხლაც წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ თონის მესამე ხარისხის პურს ნიხრი მოემატოს. ამ ხარისხის პური აქაურივე მეორეს. ინგლისელი ბევრს ეკადა და ბევრსაცა სცდილობდა მოესპო მონაგბის სყიდვა-გაყიდვა და ამავე დროს უღმერთოთ ექცევოდა და ექცევა კიდეც თვისს ქვეშევრდომებს ინდოეთსა და ირლანდიაში და არავითარ ღონისძიებას არაღონობს, რომ თავის ქვეყანაში მოსპოს სიღარიბე და სიგლახაკე, არა ჰღონობს იმიტომ, რომ მაშინ წარჩინებულნი კაცნი უნდა გამოეთხოვნენ თავის უპრარატესობას, რომელიც რა თქმა უნდა, ძლიერ უყვართ და რომელსაც ორსავე ხელებით ებღაუჭებიან. არც ერთს ერს ისე არ უყვარს ფულის მოხვეჭვა და არსად არა სცემენ სიმდიდრეს ისეთს პატივს, როგორც ინგლისში და ამავე დროს ძნელია ინგლისელსავით გულ-უხვი ერი ჰნახოთ. დიდ ძალსა, აუარებელს ფულსა სწირავს ინგლისელი ღარიბ-თავთვის, საქველ-მოქმედო საზოგადოებისთვის, ხალხის განათლებისა და მისის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.

რამდენად ახირებული და თავისებური ხასიათის პატრონია ინგლისელი, იმათი კლუბები ამტკიცებს. ინგლისელს ისე უყვარს კლუბი, რომ უკლუბოდ ზოგიერთს კაცს თვისი თავის არსებობა ვერ წარმოუდგენია.

ბრის ფქვილისაგან მზადდება, ფასი-კი მხოლოდ რუსეთის ფქვილს მოემატა, ამიტომ ნიხრიც მარტო იმ პურს უნდა მოემატოს, რომელიც რუსეთის ფქვილისაგან მზადდება. აქაური ფქვილის ფასი ისეთ ის არის, რაც წინად იყო, ე. ი. ოთხი აბაზიდგან მანათამდეა ფუთი.

ხმ. ფრიდონოვი ნიკ. სპირ.მე თვითონ ფქვილითა ვვაჭრობ და კარგად ვიცი, რომ ფქვილის ფასმა აიწია. ტფილისში არსად არ არის ეხლა ოთხ აბაზად ფქვილი. დღესვე ნაღდს ფულს დავუთვლი, თუ ვინმე ამ ფასად ასი ათასს ფუთს მომყიდის.

ხმ. ვეინბერგოვი ალექ. ბაღდ. ამ საგნის განხილვა უნდა გადადოს, რადგანაც, ერთის მხრივ, არ ვიცით რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ნიხრის დადების დროს და, მეორეს მხრით, ჩვენ ხმოსნებს არა გვქონდა დრო და შემოხვევა დაფვრილებით გავვეცნო ეს საგანი და თვით ჩვენც შეგვეკრიბა რაიმე ცნობები.

საბჭომ დაამტკიცა აღმასრულებელი კომისიის და გამგეობის მოხსენება პურის ნიხრის შესახებ, გარდა მესამე ხარისხის პურის ნიხრისა, რომლის გამოც გარდაწყვეტა გადადებულ იქმნა იმ დრომდე, ვიდრე საჭირო ცნობები იქმნება შეკრებილი.

აღმასრულებელისავე კომისიის მოხსენების განხილვა, ხორცის ნიხრის დაკლების შესახებ, გადადებულ იქმნა, რადგანაც საჭირო ცნობები ამ საგნის გამო არ არის ჯერ შეკრებილი.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის აზრი ბ-ნ გუბერნატორისა იმ წინადადების შესახებ, რომ მოქალაქეთა კომლეურის გარდასახადის ნაცვლად სახელმწიფო გარდასახადი იქმნას შემოღებულიო. რადგანაც ასეთის გარდასახადის განაწილების დრო მოახლოვდა, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ ის ხარჯი, რაც ცალკე კომისიებს დასჭირდებათ ქალაქის უძრავ მამულების დასაფასებლადაო, აგრეთვე საქმის წარმოებისა და ან-

---

და ეროვნული ამაყობა. აიღეთ რომელიც გნებავდეთ წიგნი, სახელმძღვანელო ისტორიისა ან გეოგრაფიის შესასწავლად და ყველა წიგნში ამოიკითხავთ, რომ ინგლისი უპირველესი, უფიადესი და უმდიდრესი ქვეყანაა მთელის დედამიწის ზურგზეო. ინგლისს ვერც ერთი სახელმწიფო ვერა სჯობნისო, ვერც ვაჭრობითა, ვერც წარმოებით, ვერც მრეწველობით, ვერც სწავლითა და ვერც განათლებით. ჩვენი ერი ყველაზედ უკეთესიაო, მთავრობა უკეთესი. იმდენი ენციოსი და ნიჭიერი კაცი არც ერთს ერს არა ჰყოლია, როგორც ინგლისელებსაო და სხვ. რა მოგახსენოთ, იქნება ყოველივე ეს მართალიც იყოს, მაგრამ ის კი ვერაფრად მოსაწონია, რომ ამ მიზეზისა გამო ინგლისელს, სულ ერთია რა წოდებისაც უნდა იყოს, მეტად მოაქვს თავი ამ ინგლისელობით და მედიდურობს. ინგლიელი დარწმუნებულია, ჩემს სამშობლოში ყოველიფერი უკეთესად არის მოწყობილი ვიდრე სხვაგნო, თუ ჩემს სამშობლოში ცუდი რამ არისო, მედიდურად ამბობს ინგლისელი, ეს ცუდი სხვა ერისთვის ისე კარგია, რომ ჯერ ვერც-კი მიუხწევია ამ სიკარგემდე. ამიტომ ინგლიელი სხვა

ერის კაცს მედიდურად უყურებს, თითქოს ეუბნება, ვაი შენი ბრალი, შე საცოდავო, რა უბედური ხარ, რომ ინგლისელი არა ხარო. ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისელი არა სცდილობს სხვა ერის გაცნობას. ფრანგმა რომ უცხო კაცი ჰნახოს, იმ წამსვე ლაპარაკს დაუწყებს, გამოჰკითხავს ყველაფერს, გაიცნობს და თავს გაიცნობს. ინგლისელი კი ყველას პირს აარიდებს და ლაპარაკი არ უყვარს. მაგრამ ერთის მხრით ეს სიამაყე სასარგებლოც არის. ევროპის არც ერთს სახელმწიფოში არ არის ისეთი თავისუფალი დაწესებულებანი, როგორც ინგლისში. არც ერთს სახელმწიფოს არ მოეპოვება ინგლისისთანა ბალი ქვეყნის ზღვებში. არსად არ არის როგორც აქ განვითარებული და გაძლიერებული სამთო და სამფაფაქტურო მრეწველობა. ამასთანავე არც ერთი ერი ისე არ ებღაუჭება თავისს წარსულსა, ცრუ მორწმუნებასა და ჩვეულებას, როგორც ინგლისისა. მაგრამ ეს ინგლისელს ხელს არ უშლის ახალ დაწესებულებათა შემოღებას. ინგლისელი დიდს პატივსაცა სცემს საზოგადოებასა და თითეულ ადამიანს პიროვნებას და ამავე დროს მოწიწებით შესცქერის დიდის ხარისხის

კაცს. რაც უნდა დიდი სახელი გაითქვას და მოიხვეჭოს საშუალო წოდების კაცმა, რაც უნდა დიდი სიმდიდრე შეიძინოს, მაინც დიდის მოწიწებით შესცქერის წარჩინებულ კაცს უფროსს შვილს, ვითარცა ხვალინდელს ლორდს. ინგლისელი ზიზღით უყურებს ღარიბს კაცს, ადამიანად არ მიაჩნია, მასთან ლაპარაკს არ იკადრებს და ამავე დროს ასი ათასობით და მილიონობით ფულსა სწირავს ღარიბ-ღატაკთათვის. ეს ერთმანერთში მოურიგებელი და ერთმანერთის წინააღმდეგი თვისებანი თითქოს ბუნებით თან დაჰყოლია ინგლისელს. ვაჭარ კაცს, რომელიც დღე და ღამ კონტორაშია სკამზედ დაკერებული გაგიოგეთი უყვარს ბუნება, სოფელი, ყვავილები. დინჯი, დამბალები, დადგრემილი ინგლისელი დოღის დროს 10 წლის ბავშვსავით გახალისდება ხოლმე და ცელქობს. ინგლისელი მეტად გულკეთილი კაცია და კაცთ-მოყვარე, პირუტყვიც-კი ებრალება და კანონი გამოსცა, პირუტყვი არავინ დასტანჯოსო, დააარსა პირუტყვთა მფარველი საზოგადოება და ამავე ინგლისელს გაგიეგეთ უყვარს მუშტის კრივი და იმის ყურება, თუ როგორ უსისხლიანებს თავ-პირს ერთი მოკ-

---

ინგლისელი ბევრს ეკადა და ბევრსაცა სცდილობდა მოესპო მონაგბის სყიდვა-გაყიდვა და ამავე დროს უღმერთოთ ექცევოდა და ექცევა კიდეც თვისს ქვეშევრდომებს ინდოეთსა და ირლანდიაში და არავითარ ღონისძიებას არაღონობს, რომ თავის ქვეყანაში მოსპოს სიღარიბე და სიგლახაკე, არა ჰღონობს იმიტომ, რომ მაშინ წარჩინებულნი კაცნი უნდა გამოეთხოვნენ თავის უპრარატესობას, რომელიც რა თქმა უნდა, ძლიერ უყვართ და რომელსაც ორსავე ხელებით ებღაუჭებიან. არც ერთს ერს ისე არ უყვარს ფულის მოხვეჭვა და არსად არა სცემენ სიმდიდრეს ისეთს პატივს, როგორც ინგლისში და ამავე დროს ძნელია ინგლისელსავით გულ-უხვი ერი ჰნახოთ. დიდ ძალსა, აუარებელს ფულსა სწირავს ინგლისელი ღარიბ-თავთვის, საქველ-მოქმედო საზოგადოებისთვის, ხალხის განათლებისა და მისის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.

მთელს ინგლისში აუარებელი კლუბია ყველა წოდების და ხელობის კაცისათვის. აქ არის კლუბი: სპორტიკოსო, სალიტერატორო; კლუბი მხედართათვის, ზღვაოსანთათვის; კლუბი მუშებისა, მოახლეებისა, მეღვეზნეებისა, ქეჩის დამგველისა, მემუსიკეთა და სხვ. და სხვ. არის მაგალითად კლუბი „მოგზაურთა“. ამ კლუბის წევრად კაცს ისე არ მიიღებენ, თუ არსად არ უმოგზაურნია. რაც უფრო ბევრი უმოგზაურნია კაცს,იმდენად ადვილად მიიღებენ ამ კლუბის წევრად და იმდენად მეტს პატივსა სცემენ. ამ კლუბის წევრთა სალაპარაკო დღე მუდამ არის მოგზაურობა, მხეცებთან ბრძოლა, გაუნათლებელ ხალხის ზნე-ჩვეულებათა აღწერა და სხვ.

ახალგაზდა კაცები, უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი ხშირად დადიან ერთს კლუბში, რომელსაც ეწოდება „კლუბი მეკრმეტყველთა“. აქა სწავლობენ და ეჩვევიან ლაპარაკს საზოგადო კრებების წინაშე, საზოგადო საქირ-ბოროტო საქმეთა შესახებ.

ა. ნ.

გარიშისაო. გამგეობამ ამ საგნის შესახებ შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა ქალაქის საბჭოს. რადგანაც მამულების ხელ. ახლად დაფასებას დროც ბევრი დასჭირდება და ფულიც არა ნაკლებ 30 ათას მანეთისა, უმჯობესია ქალაქმა ისარგებლოს იმ დაფასებით, რომელიც ამ ჟამად აქვს ქელაქს და იმისდა გვარად გაა-წესოს სახელმწიფო გარდასახადიო. ამ შემთხვევაში მისვლა-მოსვლასა და გადაწერას მხოლოდ 600 მან. დასჭირდება და საქმეც მალე იქმნება გათავებულიო. ხოლო ამ ექვსასის მანეთის გარდა, ქალაქმა ახალი გარდასახადის საქმის წარმოებისა და ანგარიშისათვის 2,000 მან. უნდა გადასდოს კიდევეო.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც მამულების დაფასე?ის წეს-რიგს შეეხება, ხოლო ამ მოხსენების დანარჩენი საგნები გადადებულ იქმნა.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ახალის წეს-რიგით დადგენის შესახებ.

ქალაქის საბჭომ 1897 წლის მარტის 3, 7 და 10 კრებებზედ დაადგინა გააუქმოს აწ არსებული სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია და იმის ნაცვლად იყოლიონ ახალი მოხელეები, რომლის შენახვაც წელიწადში 26,040 მანეთი დაჯდება. ეს დადგენილება გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ არა სცნო კანონიერად და არ დაამტკიცა სხვა-და-სხვა მოსაზრებისა გამო და სხვათა შორის იმიტომაც, რომ ქალაქის საბჭოს და გამგეობას აზრად აქვთ ვითომ ახალი თანამდებობანი გაუჩინონ თავიანთ ნაცნობებსა და მეგობრებსაო. გამგეობამ განიხილა რა საკრებულოს გადწყვეტილება, დაადგინა მიანდოს ქალაქის თავის აღმასრულებელს, რათა მან ეს საქმე სენატში გადიტანოს.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის წინადადება.

საბჭომვე მოისმინა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქმა სამი დღის განმავლობაში შენახოს თავის ხარჯით ის ოფიცრები, რომელნიც სამსახურისა გამო ტფილისში იქმნებიან გამოგზავნილნი.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა გამგეობის აზრი ტფილისში სადგომის გადასახადის შემოღების შესახებ. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის.

ხმ. ბუდანოვ ბადასაროვი. წინააღმდეგი ვარ ასეთის გარდასახადისა, რადგანაც უმისოდაც ბევრი ხარჯი აწევთ ქალაქის მკვიდრთ და ყველას გაძღოლა არ ძალ-უძთო.

ხმ. ქალანოვი. აგეთი გარდასახადი საპირო და სასურველიც არის იმ შემთხვევაში, თუ იმათ, ვინც გარდასახადს გაიღებენ, ნება მიეცემათ ქალაქის საქმეებში მონაწილეობა მიიღონ, თორა-და სულაც სასურველი არ არის დავაწესოთ ეგ გარდასახადი.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. საპირო არ არის ახალი გარდასახადი შემოვიღოთ, რადგანაც ქალაქის თვით მმართველობას იმათთვისაც არაფერი გაუკეთებია, ვისაც აქამდის ართმევდა ხარჯს. გარდა ამისა, მაშინ ქალაქის საქმეები გაუნათლებელს ხალხს ჩაუვარდება ხელში, საზოგადოდ ისეთს, რომელიც ქალაქის კეთილ დღეობაზედ სრულიად არ იზრუნებს.

ხმ. თუმანოვი. ეგ გარდასახადი უნდა შემოღებულ იქმნას ჯერ იმიტომ, რომ ქალაქს ხარჯი დღითიდღე ემატება, შემოსავალი-კი არსაით არის, მეორე კიდევ—ამომრჩეველთა რიცხვი გამრავლდება. მაგრამ ამ ჟამად მაგ საგნის განხილვა უნდა გადავდოთ, რადგანაც მეტად ნაკლები ცნობები გვაქვს ხელთ და ისიც, რაც არის, 20 წლის წინადაა შეკრებილი.

ხმ. ნ. ხუდადოვი. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, მარტო იმისთვის არის მაგ გადასახადის შემოღება სასურველი, რომ მეტს ქალაქის მკვიდრს მიეცემა ამომრჩევლობის უფლება და რაც მეტნი იქნებიან ამომრჩეველნი, ქალაქის საქმეები მით უკეთესად იწარმოებს. შემცდარი აზრია, ვითომ ბევრნი ამომრჩევლები რომ იქნებიან, ქალაქის საქმეები ცუდად წავიდეს. პირ-იქით, იმ ქალაქის მაგალითები, სადაც ამომრჩეველთა უფლებანი მეტს ნაწილსა აქვს მინიჭებული, აშკარად გვიმტკიცებს ამ აზრის სიცრუეს. ბერლინში, მაგალითად, მილიონი მცხოვრებელია და 300,000 კაცს აქვს ამომრჩევლობის უფლება, ხოლო პეტერბურგში მილიონსაე მცხოვრებელზედ—7,000 კაცს აქვს და აბა ახლა შეადარეთ ბერლინის კეთილდღეობა და პეტერბურგისა

ხმ. ოთოჩანანი. ჩემი აზრით ამ საგანს იმ მხრიდგან არ ჰსინჯავენ, რა მხრიდგანაც იგი განსახილველია. იმიტომ-კი არ უნდა შემოვიღოთ ეს გადასახადი, რომ ქალაქის მკვიდრთა უმეტესობას ამომრჩეველობის უფლება მიეცეთ, არამედ იმიტომ, რომ ქალაქს ფული აღარა აქვს. ვინც ჩვენს ქალაქის საქმეებს დაჰკვირვებია, აშკარად დაინახავდა, რომ ქალაქის ქონება მეტად მცირეა და სწორედ ამიტომ, არამც თუ სასურველი, საჭიროც არის ამ გადასახადის შემოღება. ხოლო რაც შეეხება მეტს ნაწილს მიეცეს ამომრჩეველობის უფლება, მაგრამ ეხლა მაგის შესახებ ლაპარაკი სულ მეტია.

ხმ. კეკნაგუდოვი. უნდა ვსთხოვოთ თავრობას მოგვცეს იმის უფლება, რომ შემოვიღოთ სადგომის კვალობაზედ გაწერილი გარდასახადი—მაშინ, როდესაც მოვისურვებთ. ხოლო ამომრჩეველთა უფლების გაფართოვების ნებას-კი მთავრობა არ მოგვცემს. საბჭომ ამ საგნის განხილვა შემდეგისთვის გადასდო.

კრება 12 საათზედ დაიშალა.

უცხოეთი

სამთა და ორთა კავშირი. მას შემდეგ, რაც რუს-ფრანგთა შორის კავშირი იქმნა დადებული და სამეგობრო ხელშეკრულობა დაიწერა, მთელის ევროპის დიპლომატები და ჟურნალ-გაზეთები საშინლად მოწადინებულნი არიან შეიტყონ ამ ხელშეკრულობის შინაარსი. განსაკუთრებით ამას სამთა კავშირია მოწადინებული. იგი ყოველს საშუალებასა ჰხმარობს, რომ რუსეთმა და საფრანგეთმა ფარდა ახადონ საიდუმლოებას და გამოაქვეყნონ ხელშეკრულობის შინაარსი. გაზ. „Figaro“-ს სიტყვით, ბერლინის, ვენისა და რომის კაბინეტებს აზრად აქვთ აუწყონ ქვეყანას თავიანთ შორის სამეგობრო ხელშეკრულობის შინაარსი, რომ ასეთის საშუალებით მაინც მიაღწიონ თავიანთს სურვილს და როგორმე დასტყუონ ორთა „კავშირს“ ხელშეკრულების გამოქვეყნებაო. მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, სამთა კავშირი მოტყუებულია: რუსეთიცა და საფრანგეთიც მალე მიხვდებიან იმათს ეშმაკობას და ეცდებიან უფრო საიდუმლოდ შეინახონ ხელშეკრულება. შეუძლებელია, რომ სამთა კავშირი გულწრფელად მოიქცეს და გამოაქვეყნოს ნამდვილი ხელშეკრულობა და არა ყალბი, ან კიდევ ძველის ხელშეკრულობის გამოქვეყნების შემდეგ, ახალი, სულ სხვა შინაარსის, ხელშეკრულობა არ დასდოს საიდუმლოდ. ასე იქცეოდა ბისმარკი, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე ასეთს პოლიტიკას მოანდომა და, ეჭვი არ არის, რომ იმის შეგირდები და მოადგილეებიც ასევე მოიქცევიან.

ინგლისი და იაპონია. გაზ. „Temps“-ის სიტყვით, ინგლისსა და იაპონიას აზრად აქვთ ერთმანეთს შორის ფორმალური კავშირი დასდონ. ინგლისში კარგა ხანია მოწადინებულნი არიან ამას, ხოლო იაპონია ამ აზრს მას შემდეგ დაადგა, რაც ინგლისელებმა მეგობრულად და დიდის აღტაცებით მიიღეს იაპონიის პრინცი არიზუგავა და მარკიზი იტოო. ამ კავშირს აზრად რუსეთის წინააღმდეგობა აქვს. ეს აზრი სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგანაც ამ ბოლოს დროს იაპონიის გაზეთებმაც მოუხშირეს ინგლისიაპონიის კავშირის შესახებ ლაპარაკს. იაპონიის თითქმის ყველა გაზეთები და მათ შორის ოფიციალური გაზეთი „Vomiovri“-ც, სიხარულით ეგებებიან ამ აზრს და დარწმუნებულნი არიან, რომ იგი განხორციელდება.

ამერიკის შეერთებული შტატები. გაზეთები იუწყებიან, რომ პენსილვანიის შტატის ქალაქ გაზელტონში მუშათ შეთქმულება მოახდინეს და მუშაობაზედ ხელი აიღესო. აი რასა სწერს ამის შესახებ „Tems“-ის იქაური კორესპონდენტი: „10 სექტემბერს, მთელი დასი მუშებისა ლატიმერისაკენ წავიდა იქაურ მუშებთან შესაერთებლად. ლატიმერის მახლობლად მთა ოლქის უფროსი დახვდა ჯარით, გზა გადაუღობა და გამოუცხადა, რომ დაშლილიყვნენ და თავ თავიანთ სახლში წასულიყვნენ. მუშები თუმცა შეჩერდნენ, მაგრამ დაბრუნების შესახებ-კი უარი განაცხადეს. მაშინ უფროსმა უბძანა, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ დადგენილი კანონი წაეკითხათ. მუშებმა მოისმინეს იგი, მაგრამ გაგებით ძალიან ცოტამ გაიგო, რადგანაც მუშები პოლონელები და სლოვიანები იყვნენ და ინგლისური არ იცოდნენ. შემდეგ მუშებმა ხელ-ახლა დაიპირეს წასვლა, მაგრამ ამ დროს ჯარმა თოფის სროლა დაიწყო და შეშინებული ხალხი ყვირილითა და თავში ცემით გაფანტა. თოფის სროლის დროს თერთმეტი მუშა იქმნა მოკლული და 50 მძიმედ დაიჭრა: დაჭრილთაგან 25 კაცი რამდენისამე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამ გარემოებამ საშინელი არეულობა გამოიწვია ამერიკის მუშათა შორის. მუშათა ასოციაციებმა აუარებელი კრებანი მოახდინეს ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად. შენანდოაში ოთხი ათას ვენგრელმა, ლიტოველმა და პოლონელმა მუშამ რამდენიმე ათასი მანეთი გადასდო საქმის საწარმოებლად და მსროლელთა და სასჯელად“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგაზეთოსაგან).

11 სექტემბერი.

პეტერბურგი. დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული დიდის მთავრის ბორის ვლადიმერის ძისა და დიდ მთავრინა ელენე ვლადიმერის ასულითურთ საზღვარ გარეთ წაბრძანდა.

კონსტანტინეპოლი. ზოგიერთმა ელჩებმა კიდევ მიიღეს წერილები, რომლებიც ვითომ სომეხთა კომიტეტებისაგან არის გამოგზავნილი. ჰფიქრობენ, რომ ცრუ ამბავია და განგებ უნდათ შიში გამოიწვიონო.

კონსტანტინეპოლი. პირველ-დასაწყისი ხელ შეკრულობა შეწყნარებულ იქმნა.

ბომბეი. შავი ჭირი ბომბეის საპრეზიდენტოში ძლიერდება. პუნაში რამდენიმე ევროპიელი გახდა ავად.

ბერლინი. 10 სექტემბერს კუკსჰაფენში ნაღმიანი გემი № 26 წყალში დაიღუპა. გემის უფროსი ჰერცოგი ფრიდრიხ ვილჰელმ მეკლენბურგისა და 7 კაცი დაიჩაჩნენ.

ბუდაპეშტი. ფიუმიდგან იუწყებიან, რომ გემი „იკა“, რომელიც ჩერკეზეიდგან მოდიოდა, ნავთსადგურში შესვლის დროს გემს „ტრიესტ“ დაეჯახა. „იკა“-ში 50 მგზავრი იყო, ვენიდგან, ზაგრებიდგანა და ბუდაპეშტიდგან მომავალი. „იკა“ ორის წუთის განმავლობაში ჩასძირა. რადგანაც წვიმა მოდიოდა და სა შინლად ბნელოდა, ცოტანი გადარჩნენ. 35 მგზავრი დაიღუპა. 14 მგზავრი, გემის მოხელენი და კაპიტანი გადარჩნენ.

სან-ფრანცისკო. ჰავაისის სენატმა ერთხმად შეიწყნარა ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ კუნძულები შეერთებულ შტატებს შეუერთოთო.

განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი

ვ. ლ. კუზნეოვისა.

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მუხრანიანთ და ვანქის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორლანოვისა და ჯანშიევისა, № 12.

(7—170—6)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები

პიანინო



ფაბ-გარმონიანი, სკრაბკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(25)

ნატალია იაკობის ასული ვახტანგოვისა, მარიამ მინასას ასული მარტირუზოვისა და ელისაბედ მინასას ასული გუჩუროვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველის ქვირფასის ქმრისას და მეორეთა ძმისას

პეტრეს მინასას ძის ვახტანგოვისას,

სთხოვენ მობრძანდნენ 14 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, კუთხის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლში, № 17, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებული იქნება სურბ-გეურკის ეკკლესიაში, თთორის მოედანზედ.

პანაშვიდი გარდახდილი იქნება შაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ.

(1—174—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.